აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 64

01 ოქტომბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებისა და წინასწარი მონაცემებით საარჩევნო ზღურბლგადალახული პარტიების/საარჩევნო ბლოკების პარტიულ სიაში შეყვანილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების მიერ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში კანონით დადგენილ ვადაში ნარკოლოგიური შემოწმების ცნობის წარდგენის მიზნით, ნარკოლოგიური შემოწმების კომისიური წესით ჩატარების უფლება მიენიჭოს შპს „ნარკოლოგიურ ცენტრს“ (მის: ხელვაჩაური, ხახულის ქ. 2).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი თ. შარმანაშვილი

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია